საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 27 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] დზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. [illegible] 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 296 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 296

ღრმად დამწუხრებულნი- დედა მელანია, მამა თემურაზი, დები: პისტი ჯაყელისა და პეპულია ასათიანისა, ძმები: დავითი და კონსტანტინე აბულაძენი, რძლები: ბარბარე ფარნაოზის ასული და ლუბა პარმენის ასული და სიძე კოსტა ასათიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 დეკემბერს ს. ოქროსქედის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

ნარო და ლუკა თემურაზის ძის აბულაძეების

სულის მოსახსენებლად. (3383 2—2)

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობმეგობრებს, რომ კვირას, 28 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე თფილისის სამაზრო ერობის შენობაში (რუსთაველის პროსპ., № 6) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულ ამხანაგის

ვენე ნიკურაძის (ალათიშვილის)

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავათ. (უფ. 2—1)

ღრმად დამწუხრებული ვერა გაბრიელის ასული ჟორდანიასი, შალვა და ლევან ჟორდანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი დედის, ხოლო დანარჩენნი დაუვიწყარი ბებიის

მარიამ სოლომონის ასულის მანველიძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 28 ქრისტეშობისთვეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან სამოვოლნი ქუჩა № 9, ნიკოლოზის ეკლესიაში. (3393 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გაბრიელ ალექსის ძე მანველიძე, შვილები: ვერა ჟორდანიასი, სანდრო, ილიკო, სოფიო მანველიძენი, რძალი ნინო, დაი ნინო ტორონჯაძისა, სიძე აფანასი, დისშვილები: არჩილი და ანნა ტორონჯაძენი, მული ბარბარე ოქროპირიძისა, ძმა დავითი და რძალი ანა ელიზბარიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარიამ სოლომონის ასული მანველიძისა

დაკრძალვა კვირას 28 დეკემბერს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (სამოვოლნი ქუჩა № 9) ნიკოლოზის ეკლესიაში. (3393 1—1)

შორაპნის მაზრის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას გამოცდილ და უაღრესი ცოდნით აღჭურვილ მუშაკის (ჩვენს დარგში) ამხანაგ

ვანო საათაშვილის

გარდაცვალების გამო. (3397 1—1)

თომა, ნინა და ხუტუა, გრიგოლ, სამსონ და ვლიკო ცინცაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ორნი ძვირფასი შვილის, მესამე ძმის და უკანასკნელი ძმის შვილის საყვარელ

შ უ ტ უ ნ ი ა ს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა, პარასკევს 27 დეკემბერს წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3395 1—1)

ღრმად დამწუხრებული ნინო იოსების ასული ბოცვაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 28 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის, განსვენებულის

ლეარსაბ გერასიმეს ძის ბოცვაძის

სულის მოსახსენებლად. (3396 2—1)

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი მშობლები: მღვდელი იოანნე და ნინა ალექსის ასული, მეუღლე სერაფიმა (ფუფა), ბიძა ტრიფონი, ძმა კალისტრატე, დები ნადია და ქსენია, რძალი ეკატერინა (ძაბული) ნესტორის ასული ჩარგეიშვილები, სიძე ვანო, დისწულები მარუსია, კუკულა და ღუტუ სალარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 30 დეკემბერს, დღით სამშაბათს უდროოდ გარდაცვლებულის მეორე ქართული პოლკის დრანდრის რაზმის უფროსის კაპიტანის

იპოლიტე იოანეს ძე ჩარგეიშვილის

სულის მოსახსენებლად სოფ. კონტუათის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში. (3406—3—1)

2-რე ქართული კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 129)

ოთხშაბათობით და პარასკევობით

„სინემატოგრაფი“

ხუთშაბათობით

„საოჯახო და საცეკვაო საღამოები“

სიმებიანი ორკესტრი დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სტუმრები კლუბში შედიან საზოგადო წესით. (ნ. 3—3)

თფილისის მაზრის ერობაში

მიიღება კონკურსით

ქართულ მანქანაზე მბეჭდავი

სავალდებულოა აგრეთვე რუსული ბეჭდვის ცოდნაც. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ განცხადებით გამგეობის მდივანს დილის 9 ს. 3-დე. (რუსთაველის პრ. სახლი № 6). კონკურსი შესდგება სამშაბათს 30-ს დეკემბერს. (3399—1—1)

## საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომარაგების სამინისტრო

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ   ა ც ხ ა დ ე ბ ს:

1) თანახმად მონოპოლიის კანონისა მატყლზე მიღებულია დამფუძნებელი კრებით 2 დეკემბერს 1919 წელს და შესულია ძალაში დღიდან მიღებისა. ყიდვა-გაყიდვა, გატანა საზღვარ გარეთ და ყოველ გვარი რეალიზაცია მატყლზე შეადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას.

2) ყველა მესაკუთრე მატყლისა, რომელიც იმყოფება საწყობებში რესპუბლიკის ტერიტორიაში მატყლის საქსოვ ქარხნებითურთ, და სახელოსნოები ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდგან გამოცხადებისა სახელმწიფოს ოფიციოზში „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, აცნობონ მომარაგების სამინისტროს ნამდვილი რაოდენობა მატყლისა, რომელიც მათ აქვთ საწყობში და სად არის ის საწყობი

3) ყველა მესაკუთრე საწყობებისა და ყველა ისეთ ბინებისა, სადაც მატყლი გირავდება, ვალდებულნი არიან კანონის ძალით პასუხისგებაში მიცემის შიშის ქვეშ, აცნობონ სამინისტროს ზემო აღნიშნულ ვადაში სად ინახება მატყლი.

4) ეს განკარგულება ეხება აგრეთვე უძრავ მამულებისა, მოიჯარადრეებს და მართველებს, რომელთაც აქვთ მატყლის საწყობები.

5) დამნაშავენი მატყლის დამალვაში იქნებიან მიცემულნი სათანადო პასუხის გებაში და მატყლი კი იმ მეპატრონეთ, რომლებიც თავის დროზე არ მიაწოდებენ ცნობებს სამინისტროს, ჩამოერთმევათ მეტად შემცირებულ ფასებში.

6. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც ექნებათ რაიმე საშუალება, ეძლევათ წინადადება ზემოხსენებული ცნობები დაუყონებლივ წარმოუდგინოს მომარაგების სამინისტროს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მომარაგების სამინისტრო.

(ნ. 3—1)

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 11 საათზედ, ესიკოვსკის ცირკის დარბაზში (ვერის დაღმართი) გამგეობა

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ იწვევს

თფილისის მილიციის კოოპერატივის

წევრთა საერთო მორიგ კრებას, რომელიც, წესდების 33 მუხლის ძალით, კანონიერი იქნება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად, დღიური წეს-რიგი: 1) გამგეობის მოხსენება; გასული წლის ანგარიში და მომავალი წლის სამოქმედო გეგმის განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის ორი წევრის არჩევა; 4) სარევიზიო კომისიის არჩევა; 5) მიმდინარე საკითხები. კრების ყრაში მონაწილეობისათვის საჭიროა საწევრო წიგნაკების წარმოდგენა

(3363—2—2) გამგეობა.

მიიღება ხელის მოწერა

„ე შ მ ა კ ი ს   მ ა თ რ ა ხ ზ ე“

მხოლოდ ქალაქ გარეთ. ჟურნალი ღირს თვეში—24 მან. მისამართი: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, „ეშმაკის მათრახისათვის.“ (უფ.)

## რუსეთის დღევანდელი ვითარება

რუსეთის სამოქალაქო ომის სასწორი ამ ჟამათ ბოლშევიკებისაკენ იხრება. დღევანდელი ცნობით წითელმა ჯარმა ციმბირში ტომსკი აიღო და სამხრეთში დონეცის ხეობას მიადგა. სამიოდე თვის წინათ რეაქციის ჯარები პეტერბურგის ალაყაფის კარებზე იყო მიმდგარი. წითელი სატახტოს დღეები უკვე დათვლილათ იყო გამოცხადებული. დენიკინის ლაშქარი სწრაფი მარშით მიდიოდა წინ. მან დაიპყრა არა მარტო უკრაინა, არამედ ველიკოროსიის გუბერნიათა მთელი რიგი, ის უკვე მოსკოვის დიდ შარა გზაზე იყო გასული, და კრემლის მმართველნი უკვე ჩემოდნებსა კრავდენ. რასაკვირველია, ჩვენ არ გვჯეროდა, რომ დენიკინი შესძლებდა პოლიტიკურ გამარჯვების მოპოებას. მაგრამ მოსკოვისა და პეტერბურგის აღება კი ადვილი და მოსალოდნელიც იყო; ამ გარემოებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ რუსეთის პოლიტიკის დახლართული კვანძი ამით ვერ გადიჭრებოდა. თუმცა პოლიტიკურ ბრძოლაში რეალურ, სამხედრო ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს, ხიშტი რეალური კონსტიტუციის ნაწილია, მაგრამ ის ბრძოლა, რომელიც დღეს რუსეთში სწარმოებს, ვერ გადაწყდება სამარი საშუალებებით, სამხედრო გამარჯვებებით. მიუტევებელი შეცდომა იქნება, თუ ვინმე იფიქრებს, რომ წითელი ჯარის გამარჯვებით შეიძლება კომუნიზმის დამყარება, ან დენიკინის შავი ლაშქრის სამხედრო წარმატება აბსოლიუტიზმის რესტავრაციას მოახდენს. რუსეთში რესტავრატორებმა შესძლეს მთელი რიგი სამხედრო გამარჯვებათა, შესაძლებელია კი დევ იბრუნოს მათკენ პირი ომის ღმერთმა, მაგრამ ძველი რეჟიმის ეღდგენა, ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება, შეუძლებელი იქნება. ეს ჩარხი მათ აუცილებლათ გასრესს. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ იუდენიჩი პეტროგრადს, ხოლო დენიკინი მოსკოვს შეიპყრობოდა, მაგრამ რუსეთი სასწაულების, ის ყოველგვარი შესაძლებლობის, ქვეყანაა. სამხედრო ბედის გარდატეხა ერთბაშათ, თითქოს ანაზდეულათ, მოხდა და გამარჯვებულ გენერალთა ლაშქრები უკუქცეულ იქნა. ასეთი მოვლენა, ამგვარი სამხედრო სიურპრიზები ჩვეულებრივია; ის, თუ გნებავთ, თვით ბუნებაა რუსეთის სამოქალაქო ომის. უკვე ერთგვარი კანონიერების სისწორით გამომუშავდა ის ვადა, რომლის განმავლობაშიც რუსეთის ხალხი ითმენს მემარჯვენე და მემარცხენე რეაქციონერების დიქტატურას. ასეთი ვადა დაახლოვებით ოთხი-ხუთი თვეა.

ნ. ნ. ჟორდანიამ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში სამართლიანათ აღნიშნა ის გარემოება, რომ თემური წყობილება, და ამგვარათ საზოგადოებრივ დანაწილების, დიფერენციაციის უქონლობა ეს ერთი უმთავრესი და დამახასიათებელი თვისებაა რუსეთის ხალხის და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების, მოქმედებისა და ბრძოლის. რუსეთის მასა ნაკლებათაა განვითარებული მოქალაქობრივის მხრით. იქაური დემოკრატია სუსტია; რუსეთი უკიდურესობის ქვეყანაა. რუსეთის მასა ერთი უკიდურესობიდან მეორეს ეხეთქება. დღეს დღეობით იქ ორი გარკვეული აზრი და ძალაა. ბოლშევიკები და რეაქციონერები. ცნობილია, რომ დენიკინის ზურგში, მასა ბოლშევიზმზე ოცნებობს. ბოლშევიკების ზურგში კი გენერლების ჯარებს მოელიან, როგორც მხსნელებს. მაგრამ, როგორც პირველი, ისე მეორე მხსნელის მოსვლის შემდეგ გაივლის ოთხი-ხუთი თვე და მასის სულიერი განწყობილება დიამეტრალურათ იცვლება; ვისაც წინათ მხსნელათ სთვლიდა, ეხლა მოსისხლე მტრათ მიაჩნია. ასე მწარე გაკვეთილებით, გამეორებით სწავლობს რუსის გლეხი მოქალაქობასა და პოლიტიკის ამოსავლებს. ბევრ ადგილს მასა უკვე სრულიად პოლიტიკის გარეშე დადგა. ამა თუ იმ თემს ყოველ შემთხვევისთვის მზათ ყავს ორ-სამნაირი მთავრობა; მათ გამზადებული ყავთ „სავოლოსტო“ მთავრობები შესაფერი დენიკინისათვის, ძველი სტაროსტებიდან, კომუნისტური საბჭო, პეტლიურასთვის კი „სპილკა“ და „რადა“, ვინაიდან გლეხმა არ იცის, თუ რომელი რაზმი შემოვა ხვალ სოფელში და ხშირათ, როდესაც ახლად შემოსული რაზმის უფროსი სოფელს სთხოვს მთავრობის კაცები მოვიდნენო, სოფლელები ეკითხებიან, რომელი მთავრობა გნებავთ, ჩვენ ყოველ შემთხვევისთვის სამი მთავრობა გვყავს, თქვენ რომელს ინებებთ.

რა გასაკვირველია, რომ ის ქვეყანა, სადაც გლეხური მასის პოლიტიკური შეგნება და მოქალაქეობრივი აქტიობა ისეთ დონეზეა, რომ ეს ქვეყანა გახდა შეიარაღებულ ჯგუფების საბურთაოთა და სათელად. იქ დღეს ხალხზე ჯარია გაბატონებული. ერთ-ერთმა გავლენიანმა კომუნისტ-კომისარმა ერთ თავის საუბარში ვიწრო წრეში, შეკითხვაზე, თუ რომელ კლასს ეყრდნობიან დღეს ბოლშევიკები? გულწრფელათ განაცხადა—ტყავის კურტკებიან კლასსაო. (კომუნისტურ ბიუროკრატიისა და ჯარის არისტოკრატიული ნაწილები უმთავრესათ ტყავის კურტკებშია გამოწყობილი). რასაკვირველია, ეს ძალები რუსეთის პოლიტიკურ საკითხს ვერ გადასჭრიან.

პომეშჩიკური აბსოლიუტიზმი რუსეთში ვერ აღდგება. დენიკინიზმი პოლიტიკურათ ვერ გაიმარჯვებს. შესაძლებელია, ის სტრატეგიულათაც უკანასკნელი თვეები ან კვირეები ცოცხლობს. მეორე მხრით შესაძლებელია, რომ ბოლშევიკებმა დენიკინი სტრატეგიულათ გაანადგურონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბოლშევიზმი პოლიტიკურათ იმარჯვებს. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. პოლიტიკურათ ბოლშევიზმი დიდი ხანია გაკოტრდა, მაგრამ შეიძლება ბოლშევიკების ჯარმა გაიმარჯვოს, ხოლო პოლიტიკურათ ისინი გაიმარჯვებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც კომუნიზმს საბოლოოთ გამოეთხოვებიან. დღეს ბოლშევიკების დროშის ქვეშ იბრძვის ახალი ბურჟუაზია, კრეპოსტნიკებისა და ძველი მეფის ლაქია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მათ მისდევს თან რუსული ნაციონალიზმის აგრესიული ჯგუფებიც, როდესაც აი ეს ელემენტები სავსებით გაიმარჯვებენ რუსეთის სახელმწიფოსა და ჯარში კომუნიზმის ნაშთებზე, როდესაც ბოლშევიზმი სავსებით აღმოიფხვრება, მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებენ ბოლშევიკები პოლიტიკურათ, დაამყარებენ მტკიცე წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ბოლშევიზმის ლიკვიდაცია აუცილებელია. ამ ლიკვიდაციის შესაძლებელი გზა ორნაირია. ან სამხედრო დამარცხება რეაქციის მიერ, შემდეგ ანარქია და ბოლოს დემოკრატია; ან და მეორე გზა—ბოლშევიზმის სამხედრო გამარჯვება, მისი შინაგანი პოლიტიკური ევოლუცია ბურჟუაზიული წყობილებისაკენ და საკუთარი ხელით კომუნიზმის დასაფლავება. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი გზით მოხდება ეს ლიკვიდაცია, ამდენ ხანს თითქოს შანსი პირველ გზას მეტი ქონდა, ეხლა კი მეორესაკენ იხრება სასწორი. სასწორი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ კარგა ხანს იქანავებს.

ყველაფერი ეს კარგი. მაგრამ ანარქიის, შიმშილის და უბედურების ტალღა მოგორავს სამხრეთისაკენ. ძნელია იმის თქმა თუ სად გაჩერდება ეს ტალღა. ამ გარემოებას კი ახლავე უნდა გაეწიოს ანგარიში.

—

გუშინდელ მეთაურში—„ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია“ კორექტურის დაუდევრობით წერილის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია კონფედერაციაზე, აზრი სრულიად დამახინჯებულია, ვინაიდან ამ სიტყვის მაგიერათ ყველგან ნაბეჭდია სიტყვა კონფერენცია. მაგ., სწერია: „თუ მართლა აღერბეიჯანის მთავრობამ წამოაყენა კონფერენციის კითხვა, ჩვენ ამას სიამოვნებით მივეგებებით, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს კითხვა არ არის იმდენათ დამუშავებული, რომ მისი დღეს დღეობით ამოწყვეტა და პრაქტიკულად გადაჭრა შეიძლებოდეს. უნდა იყოს: თუ მართლა აღერბეიჯანის მთავრობამ წამოაყენა კონფედერაციის კითხვა და სხ.

## არა სასურველი სტუმრები

საბჭოების ჯარების წინ წაწევასთან ერთად აუარებელი ლტოლვილები მოაწვა ჩრდილოეთ-კავკასიას. მოსალოდნელია, რომ ლტოლვილთა ტალღა ახლო მომავალში ჩვენს საზღვრებსაც მოადგეს. სტუმართ-მოყვარეობა და დევნილთა მიღება, საერთოდ, მეტად სიმპატიური საქმეა. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკამ აუცილებლად უნდა დაკეტოს თავისი საზღვრები იმ ხალხისთვის, რომელიც ასე გაშმაგებით ებრძოდა ჩვენს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებას. მოქალაქე დენიკინის ანტურაჟში არ აღმოჩნდა ერთი პირიც, არც აღმოჩნდა ერთი ჟურნალისტი, რომ შებრძოლებოდა იმ აუარებელ ჭორებს და ცილის-წამებას, რომელიც უხვად ვრცელდებოდა სამხრეთ რუსეთში და იქიდან ედებოდა ევროპის კონსერვატიულ პრესას. როდესაც ჩვენ საკონსულოებს ერეკებოდნენ და საქართველოს დროშას აუჩად იგდებდნენ, არ აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელიც ხმას აღიმაღლებდა ჩვენი ერის სასარგებლოდ. მართალია, დემოკრატიული ნაწილი სამხრეთ რუსეთისა ჩვენ სიმპატიით გვიყურებდა, მაგრამ ის თვითონ დევნილი იყო დენიკინის მიერ. მოიგონეთ ყუბანის რადის ბედი. ეს ნაწილი არც გარბის. იმან, ბოლოს, შეითვისა თავისებურად პოეტის სიტყვები:

Бѣжать, но куда?
На время не стоитъ труда.
А вѣчно бѣжать невозможно.

რაც შეეხება იმ ხალხს, რომელიც ჩვენი ერის მტერია, იმას არ აქვს უფლება ისარგებლოს ჩვენი სტუმართ მოყვარეობით. არც ჩვენ გვაქვს საბუთი ასეთ ხალხ ჩვენი საზღვრები გაუღოთ, მათთვის საქართველო არ არსებობდა მათი ვითომ და ბედნიერების დღეს. ის არ იარსებებს მათი უბედურობის დროსაც.

ბ. თეკლათელი.

## მიწების ყიდვა-გაყიდვა

(კ. ნ. საპასუხოთ)

ჩემმა წერილმა მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გამოიწვია კ. ნ. სამი ვრცელი წერილი. პირველი მისი წერილი შეეხებოდა, ასე ვთქვათ, თეორიულ შეკამათებას, რომელიც სრულიად არ ქონია მიზნათ ჩვენ წერილს. ჩვენ ვეხებოდით მხოლოდ სამინისტროს და აგრარული კომისიის კანონ-პროექტს და იმის შიშით, რომ ამ კანონ-პროექტის მიღება არევ-დარევას შეიტანდა და ხელს შეუშლიდა აგრარული რეფორმის დამთავრებას—ვითხოვდით რეფორმის დასრულებამდე მის გადადებას.

დავა უმთავრესად ამაზე იყო და კამათიც ამის გარშემო უნდა დატრიალებულიყო. ნორმას ჩვენ შევეხეთ იმდენათ, რამდენათ ამას გულისხმობს ჩვენი კანონ-მდებლობა და საკამათო კანონ-პროექტი. ეს იყო უმთავრესათ ფაქტის აღნიშვნა. ამაში კ. ნ. ესერული მსოფლ-მხედველობა დაინახა და განაცხადა: განი მისდაუნებურათ ესერ-ფედერალისტების მსოფლ-მხედველობის მახეში მოყვაო. რაში ხედავს კ. ნ. „ესერ-ფედერალისტურ მხედველობას“? იმაში, რომ ჩვენ ნორმა ვახსენეთ, და გონია, რაკი ნორმას ახსენებ, ამით ესერების გათანასწორებულ მიწათ - მფლობელობას იცავ. როგორც ეტყობა კ. ნ. არ იცნობს საკმაოთ ესერების მსოფლ-მხედველობას და ამიტომაც მათ გათანასწორებულ მიწათ-მფლობელობას დესიატინის რაოდენობით ხსნის. და ეს მაშინ, როცა ესერების გათანასწორებული მიწათ-მფლობელობა ისაზღვრება ან შრომის ნორმით, (трудовая норма), ან სარჩენი ნორმით (продовольственная норма) და რადგანაც სარჩენი თუ შრომის ნორმა არ შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა ოჯახისათვის, ამიტომ შეუძლებელია აღებულ იქნას ყველასათვის ერთნაირი რაოდენობა მიწისა და ეს არც უთქვამს არსად ესერებს.

დაწესება ათი, ხუთმეტი, გინდ სხვა რომელიმე რიცხვის სრულიად არ ნიშნავს ესერების გათანასწორებულ მფლობელობას; კ. ნ. სწორეთ ამ რიცხვებს შეჰყავს შეცდომაში, გონია, რომ ასეთია ესერების შეხედულება, და რაკი

# დღეს

ლონდონის საერთაშორისო ყრილობამ ჰენდერსონის თავმჯდომარეობით რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც ევროპის წოდებული ევროპის წონასწორობის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს ეროვნებათა ლიგის პოლიტიკით, რომელიც ნამდვილ განიარაღებას მოგვცემსო.

ფრანგული პრესის აზრით კოლჩაკ დენიკინის რეაქციონური გამოსვლებია იმის მიზეზია, რომ რუსეთში ბოლშევიზმი არ სუსტდება.

პალატაში კლემანსომ შეკითხვებს პასუხი გასცა, რომელშიაც შეეხო ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებას. სხვათა შორის მან აღნიშნა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება ხაზ ქოთა რუსეთთან შეთანხმებაზე.

კლემანსოს ახსნა-განმარტების შემდეგ პალატამ სრული ნდობა გამოუცხადა მთავრობას 458 ხმით, წინაამდეგ 71 ხმისა.

ლატვიამ და ლიტვამ ურთი ერთ შორის თავდაცვითი ხასიათის კავშირი შეკრეს.

ჩვენ ნორმა ვახსენეთ—ჩვენც ე ერების ბანაკში გადავყავართ. მარა როგორც ვთქვით, ესერებს არაფერი ამის მსგავსი არ უ ქვამთ და ამიტომ ჩვენი „ესერების მახეში მოყოლაც" ეს ქ. ნ. გაუგებრობის შედეგია.

ქ. ნ. არ იზიარებს ჩვენს შიშს, რომ აგრარულ კომისიის კანონ-პროექტი ხელს შეუშლის რეფორმების გატარებას, მარა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ის გაიზიარა და აგრარული კომისიის კანონ-პროექტში შეიტანა ორი ფრიად მნიშვნელოვანი შესწორება.

ფრაქციის პირველი შენიშვნა ამბობს, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მიწების ჩამორთმევა უკვე დასრულდა. ამ რაიონებს კი განსაზღვრავს მიწათ-მოქმედების მინისტრი სამაზრო ერობების წარდგენით აქ უკვე არის გარანტია, რომ ყიდვა-გაყიდვა არ მოხდება იმ რაიონებში, სადაც მიწების ჩამორთმევა ჯერ კიდევ არ დასრულებულა სრულიად. მაშასადამე რეფორმას ბრავითარი საფრთხე არ მოელის.

მეორე შენიშვნა: დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ყიდვის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ნორმაზე ნაკლები აქვს და იმდენის, რომ საერთოდ მისი მიწის რაოდენობა არ აღემატებოდეს ამ რაიონში დაწესებულ დატოვების ნორმას.

ეს შენიშვნა დროებითია, სათანადო კანონის გამოცემამდე. და აი, როცა ამ კანონის გამოცემას შეუდგება დამფუძნებელი კრება, მაშინ ჩვენ საშუალება გვექნება ვრცლათ მოვილაპარაკოთ მომავალი მიწათ მფლობელობის შესახებ. ახლა კი ს. დემ. ფრაქციის მიერ მიღებული შესწორებანი აცლის აგრარული კომისიის კანონ-პროექტს შესაძლებლობას გამოიწვიოს გაუგებრობა და ხელი შეუშალოს რეფორმის დათავებას. ამიტომ ფრაქციის მიერ მიღებული არსებითი შესწორებანი დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს.

განი

## წოტა რამ სასოფლო მართველობაზე

(დასასრული)

გადასახადების განაწილების დროს თემთა გამგეობა ან ხმოსნების მიერ ამორჩეული კომისია სრულიად უძლური სამართლიანი განაწილება მოახდინოს, ვინაიდან თითეული სოფლების წარმომადგენელთ, რომელნიც მოხვდებიან თემის ხმოსანთა შორის, ვერ მოვთხოვთ ამა თუ იმ გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობის ცოდნას, მაშინ, როდესაც თვით სოფლის კომისიას არ გამოეპარება არც ერთი ცნობა თავის ახლო მეზობლის შესახებ, რაც აიხსნება სოფლის პატარა სივრცით. წესრიგის დაცვის მხრით დღევანდელი სოფელი ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული. რაც არ უნდა მოხდეს შიგ სოფელში, ამას თემის გამგეობა გებულობს შემთხვევით, ვინაიდან სოფლად გამგეობას არავინ ყავს. თემის გამგეობას ვერ მოვთხოვთ თავის ხმოსნების საშუალებით განაგოს საქმეები სოფლად, ვინაიდან ერობათა დებულების ძალით ხმოსანი უფლება მოსილია მხოლოდ ხმოსანთა ყრილობაზე, დანარჩენ შემთხვევებში ის უბრალო მაყურებელია. საქონლის ჭირთან ბრძოლაში სათემო გამგეობა სრულიად უძლურია, რადგან ყველა ის ზომები, რასაც ის იღებს, რჩება ცარიელ დადგენილებათ, ვინაიდან სოფლად მათი თვალყურის მდევნელი ან ამ დადგენილებათა აღმასრულებელი არავინაა. იგივე ითქმის სოფლის სკოლის შენეთება, ან სხვა რამე საქმეებზე.

ამ არა ნორმალური მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალი, ჩვენის აზრით, არის სასოფლო ერთეულის დებულების გამომუშავება. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ სოფლების ერთგვარ ტრადიციას, მათ ისტორიულად არსებობას, ხალხის ჩვეულებებს, და რაც უმთავრესია, მათ მნიშვნელობას, აგრეთვე დასავლეთ-ევროპის, განსაკუთრებით ინგლისის მეტად წვრილ სასოფლო ერთეულების არსებობის ისტორიას, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სოფლის ფაქტიურ მდგომარეობას იურიდიული ფორმაც უნდა მიეცეს.

ჩვენის აზრით თვითეულ სოფლის ერთეულს, გარდა იმისა, რომ მას უნდა ჰქონდეს იურიდიულ პიროვნების უფლება (უძრავ მოძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვის საქმეში), მას უნდა მიენიჭოს აგრეთვე თავის ტერიტორიის ფარგალში ადგილობრივ მნიშვნელობის საქმეების მოგვარება, ზოგიერთ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა, და განსაზღვრულ შემთხვევებში თვით დაბეგვრის უფლებაც, სოფლის ყრილობა უნდა შესდგებოდეს ყველა სრულ უფლებიან და წლოვან მცხოვრებლებისაგან. მიმდინარე საქმეების გასაძღოლად და სოფლისათვის მნიშვნელოვან ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ყრილობა ირჩევს სოფლის თავს და მასთან რამოდენიმე რწმუნებულს. ეს იქნება სოფლის ყრილობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ერთის მხრით განაგებს რა მიმდინარე საქმეებს, აგრეთვე ცხოვრებაში ატარებს სათემო და სამაზრო ერობათა და ცენტრალურ მთავრობის ყველა დაწესებულებათა დადგენილებებს და ბრძანებებს. სოფლის თავი ამნაირად იქნება ერთ და იმავე დროს პასუხის მგებელი პირი, როგორც სოფლის წინაშე, ისე მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წინაშე.

სოფლის თავათ არსებული რწმუნებულები იქნებიან იგივე (ზოგიერთ ადგილას შემოღებული) ოცეთთავები, რომელნიც დღეს, როგორც ვიცით, ასრულებენ მრავალ დავალებებს ერთგვარ ხალისით და იმავე დროს უსასყიდლოთ. სოფლის თავს ჯამაგირი უნდა ჰქონდეს ხაზინიდან, როგორც მთავრობის წარმომადგენელს. ის შიში, რომ ამით სათემო საზოგადოებების ერობებს დაეკარგებათ ყოველგვარი მნიშვნელობა, თუ მათი მოქმედების შინაარსი დანაწილდება შემადგენელ სოფლებში, ჩვენ არ მიგვაჩნია საფუძვლიანად ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეც რომ მოხდეს ამით საქმე არა თუ არ შეფერხდება, არამედ მართვა გამგეობის საქმე უფრო გამარტივდება, მეორე თითქო ზედმეტი საფეხურიც ისპობა და სოფლები პირდაპირ დაუკავშირდებიან სამაზრო ერობის ცენტრს, რაც ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ვინაიდან რაც უნდა პატარა ან დიდი იყოს სოფელი ის მაინც ნაწილია სათემო საზოგადოების, და როგორც ასეთი თვით ვერ აიტანს იმ სიმძიმეს, რომელსაც გაუძლებს მთელი საზოგადოება ან დღევანდელი თემი, სწორედ ამ უკანასკნელის მოვალეობა იქნება მთელი სათემო საქმეების გაძღოლა, ზემო ნახსენებ სასოფლო ერთეულების საშუალებით, რომელნიც უფრო სწრაფი და მოძრავნი არიან, ვინემ თემი, რომელიც თავისთავად განაგებს თითეული სოფლის საქმეებს. კავშირი თემის საზოგადოების და სოფლის ან სასოფლო ყრილობის და მათ ორგანოს შორის არ ირღვევა, ვინაიდან თვით სათემო საზოგადო ერობა ამორჩეულია საზოგადოების ყველა სოფლებიდან. სახსრის და ძალთა ეკონომია აუცილებლად მოითხოვს წვრილ სასოფლო ერთეულების საერთო საქმისათვის გაერთიანებას. და ეს გაერთიანება თავის და თავად ბუნებრივად ხდება სათემო საზოგადოების ერობაში, მაგალითად, ვსთქვათ რომ რომელიმე სოფელმა მოინდომა საავთმყოფოს აგება. თავისდათავად იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში მთელი თემის—რომელშიაც რამოდენიმე სოფელი შედის—დაუხმარებლად არაფერი გაკეთდება. სამაგიეროდ თუ რომელიმე სოფელმა თავის ხარჯით ფერშლის მოწვევა განიზრახა ან და სამკითხველოს გახსნა მოინდომა, არავის უფლება არ უნდა ჰქონდეს მას ხელი შეუშალოს, ანდა მათი ხარჯი იმავე თემის სხვა სოფელს გააწეროს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რამდენი წვრილი საკითხები, რომელნიც თავსამტვრევად უხდებათ დღეს სამაზრო ერობებს, ჩამოშორდება მათ. ამით სამაზრო ერობის მოქმედება უფრო მეტ ნაყოფს გამოიტანს და ის მართლაც გადაიქცევა კულტურულ ხელმძღვანელ ცენტრად და ხალხის კეთილდღეობის ნამდვილ იარაღად.

ბაზა.

## დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

26 დეკემბერი.

### ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, დეკ. 25. ნარვის რაიონში სროლაა. ჩვენ მხარეზე 12 კაცი გადმოვიდა. დასავლეთ დვინაზე მტერი, რომელსაც სურდა დვინაზე გადმოსვლა, დვინსკის, კრესლავკისა და დრისის რაიონებში, ჩვენი შეტევით უკუ ვაგდეთ. ჟიტომირის რაიონში ჩვენ კაზატინი ავიღეთ. სადგურზე ხელთ ვიგდეთ 4 ორთქმავალი, ვაგონები და სხვა. ჯერ კიდევ გამოურკვეველია ნადავლი კიევის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა წინსვლის დროს ხელთ იგდეს სადგური ფასტოვკა, რომელიც ფასტოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 ვერსზე იმყოფება და დაბები ობუხოვო და გერმანოვკა, რომლებიც კიევის სამხრეთით 35—45 ვერსზე იმყოფება. ხარკოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით წაიწიეს სადგ. ლოზოვაიას ჩრდილოეთით 35—40 ვერსით დაშორებულ სოფლების ხაზზე. ლუგანის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ბელოვოდსკის სამხრეთით 20 ვერსით დაშორებული სოფლების ხაზი დაიჭირეს. მილეროვის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგური შეპტუხოვკა, რომელიც მილეროვოს ჩრდილოეთით 30 ვერსით არის დაშორებული.

### მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. მიგულინის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. მტერმა განიზრახა მდ. დონზე გადმოსვლა, მაგრამ უშედეგოდ იქნა. სამხრეთით დონ ს ყაზახთა რაზმი იგერიებს ცხენოსანთა იერიშებს. ვალუიკისა და ხარკოვის მიმართულებით მოწინავე რაზმი მტრისა გამოჩნდა სტარო-ბელსკისა და იზიუმის ჩრდილოეთით. ჩვენი ჯარი იგერიებს რიცხვით ბევრათ უფრო ძლიერი მტრის მოწოლას და თანდათანობით უკან იხევს კონსტანტინოგრადის ჩრდილოეთით. მომხდარ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ წითელი ჯარის მთელი ბატალიონი და მისი ტრანსპორტი. პოლტავის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა. ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი გამოყვანილ იქნა ქ. კიევიდან. დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები და მისი წინსვლა შევაჩერეთ. კამენეც-პოდოლსკისა და ოდესის რაიონში სრული სიწყნარეა.

### პოლონური პრესის ცნობები

პოლონეთის გაზეთები იუწყებიან: ლონდონის საერთაშორისო კომისიის ყრილობაზე, რომელსაც ჰენდერსონი თავმჯდომარეობდა, მიიღეს შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოკავშირეთა და ევროპ-წოდებული ევროპის წონასწორობის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს ეროვნებათა ლიგის პოლიტიკით, რომელიც განიარაღების ნამდვილი საშუალებას მოგვცემს. საერთაშორისო შეერთებულმა ენერგიამ უნდა აღადგინოს ევროპა.

ლატვიამ და ლიტვამ კოვნოში ურთიერთ შორის თავდაცვითი ხასიათის კავშირი შეკრეს.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, ინგლისისა და ბოლშევიკების წარმომადგენლების შორის მოლაპარაკება განახლდა. ინგლის დელეგატი პირად საქმეებზე ლონდონში წავა, მაგრამ ნაშობავს კოპენჰაგენში დაბრუნდებაო.

„პტი პარიზიენი" 4 დეკემბერს სწერს: „საშიშროება უმთავრესად იმ პოზიციის გამოურკვევლობაში არსებობს, რომელსაც ანტანტა ძველი რუსეთის მცირე ეროვნებათა საკითხს ეპყრობაო. დასამალავი არ არის, რომ მომავლის გამოურკვევლობა პოლონეთისა და უკრაინის მოქმედებას ხელს უშლის. მათი დახმარება კი მეტად სასარგებლო იქნებოდა. ეს სახელმწიფოები უნდა დავამშვიდოთ მათი მომავალი მოწყობის იმედით და მორალური დახმარებით უნდა გავამაგროთ მათი დამოუკიდებლობაო.

„ფრანს ლიბრი" 11 დეკ. სწერდა: ეხლა აშკარა შეიქმნა, რომ კოლჩაკისა და დენიკინის არა პოპულარობა, რომელიც დღითი დღე იზრდება მათი რეაქციონური გამოსვლების წყალობით, არის [illegible] [illegible] თუ ანტანტა მათ [illegible] [illegible] თონ გადასწყვიტოს, თუ იგი თავის პირად გავლენას იმას მოანდომებს, რომ სხვა და სხვა სახელმწიფონი უფლებებში გაათანასწოროს, მაშინ ის უზარმაზარი ცეცხლი, რომელიც აღმოსავლეთში ანთია, ამოფეთქებულ მასალის უქონლობის გამო, თვითვე ჩაქრება.

### იტალიური პრესის ცნობები

იტალიის პრესა ხაზს უსვამს ნიტტის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ის ამბობდა, რომ სხვადასხვა ერებისადმი... (გამოტოვებულია) გატარებული იქნება ფართო ავტონომიის პოლიტიკა, რომელიც სლავიანთა ჯგუფებსაც შეეხება.

### ფრანგული პრესის ცნობები

ლორდ კერზონის აზრით ევროპისათვის კვლავ საჭიროა 40 მილ. დოლარი. (გამოტოვებულია) და... მილიონი ქვანახშირისათვის, რომ წარმოების კრიზისს ბოლო მოეღოს. კრედიტთა საკითხის გადაწყვეტა მარტო ინგლისზე არ არის დამოკიდებული. მარტო ინგლისს არ შეუძლია ეს მძიმე ტვირთი იკისროს. ამისათვის საჭიროა ამერიკის დახმარებაც.

პალატაში კაშენის შეკითხვის საპასუხოთ კლემანსომ განაცხადა: უკანასკნელი არჩევნებით რესპუბლიკამ დაადასტურა, რომ ის იწონებს მთავრობის მიერ აღებულ ხაზს პოლიტიკაში. ლონდონის თათბირზე კამათი არ ყოფილა, ვერსალის ხელშეკრულების შესახებ. მოლაპარაკების საგანი იყო საერთო გეგმის გამომუშავება აღმოსავლეთის საკითხების საქმეში. ერთ-ურთის გაგება და საერთო შეთანხმებით მოქმედება ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია. კერზონმა და ბერტელომ კიდევ უფრო უნდა გააღრმავონ და განავითარონ მიღწეული შეთანხმება. კლემანსომ დაძინა: შეთანხმება ფინანსიურ საკითხებში თითქმის მიღწეულია. შეხებ ეგრეთვე ფიუმეს საკითხს, უკანასკნელად მიღებულ ცნობათა მიხედვით იტალია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რათა ეს საკითხი შეთანხმებით დაგვირგვინდეს. რუსეთის შესახებ კლემანსომ განაცხადა: ჩვენ არა თუ ზავს ვკრავთ, პირიქით, ლაპარაკიც არ შეიძლება საბჭოთა რუსეთთან რაიმე შეთანხმებაზე. ჩვენ გვსურს მხოლოდ ხელი შევუშალოთ ბოლშევიკების ევროპაში შემოჭრას და მათი სისხლიანი რეჟიმის კულტურულ ქვეყნებში გამეფებას. რუსეთის რესპუბლიკის მატყუარა ხელმძღვანელთა და საფრანგეთის რესპუბლიკის შორის ღრმა უფსკრულია

## კონსტიტუციის პროექტი

### საზოგადო დებულებანი

1) საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა.

3) საქართველოს დიდი-ქალაქი არის თფილისი, სადაც მუდმივად იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა.

4) საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

5) ყოველი კანონი ან მთავრობის ბრძანება სავალდებულო ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი კანონიერის წესით ცხადდება.

### სახელმწიფოებრივი ტერიტორია

1) სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაცემა, გაყოფა და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაფართოება ან სადამ საზღვრების შესწორება ხდება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

2) ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველურ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

### მოქალაქეთა უფლებანი.

1) ყველა მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

2) წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

3) არავინ არ შეიძლება იქნეს დასჯილი სხვაფრივ, თუ არა სასამართლოს წესით, აქედან გამონაკლისს შეადგენს ცალკე კანონში განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

4) ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

5) არავინ არ შეიძლება იქნეს დატუსაღებული ან სხვა საშუალებით თავისუფლებას მოკლებული და პირადათ გაჩხრეკილი, თუ არა სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

6) ადმინისტრაციას შეუძლია თავისი უფლებით დააკავოს ვინმე შემდეგ შემთხვევაში: ა) როცა ის დამნაშავეს დანაშაულობის ადგილზე შეიპყრობს, ბ) როცა ახლა ჩადენილ დანაშაულობას მიუსწრებს და მასთან დანაშაულობისაგან დაზარალებულნი ან დამსწრე პირები პირდაპირ ვინმეზე მიუთითებენ, გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთები აღმოაჩნდება ან როცა მის ტანზე ან მის ბინაზე დანაშაულობის აშკარა ნიშნები და კვალი აღმოჩნდება.

7) დამნაშავეთა დაკავება შეუძლიათ კერძო პირთაც, თუ რომ მათ დანაშაულობის ადგილზე მიუსწრებენ და მასთან მოსალოდნელია ადმინისტრაციის მოსვლამდის მათი მიმალვა.

8) როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით დაკავებულნი, 24 საათის განმავლობაში უნდა იქნენ წარდგენილნი მახლობელ სასამართლოში. თუ აღნიშნული სასამართლო ისე დაშორებულია, რომ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე პირთა წარდგენა შეუძლებელია, იმ შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელებულ უნდა იქნეს ადგილობრივ პირობების მიხედვით იმდენათ, რამდენადაც ეს აუცილებელი საჭიროა, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათ.

9) მე 8 მუხლში აღნიშნული სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაჰკითხოს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, რის შემდეგ გასცეს წერილობითი ბრძანება ან მისი დატუსაღების განგრძობისა ან დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

10) ზემოაღნიშნული სასამართლოს ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ მათ რაიმე გზით და საშუალებით ეცნობათ, რომ ვინმე არა ზემოაღნიშნული წესითაა დაკავებული, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და გასცენ წერილობითი ბრძანება ან მისი განთავისუფლებისა ან და მის დაკავების განგრძობის შესახებ.

11) უფროსი იმ საპატიმროსი ან სხვა დაწესებულებისა, სადაც დაკავებული პირი ზის, ვალდებულია გაანთავისუფლოს უკანასკნელი თუ რომ მას 24 საათის განმავლობაში სასამართლოს წერილობითი ბრძანება არ მოუვიდა დაკავების განგრძობის შესახებ.

12) ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია, მისი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ კანონის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებით.

13) კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხლებელია, მისი ამოღება და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით

14) ყოველი მოქალაქე მისვლა-მოსვლაში და ბინადრობის არჩევაში სარგებლობს სრული თავისუფლებით. ასეთი უფლება შეიძლება შეზღუდულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

15) ყოველი მოქალაქე სარგებლობს სინიდისის სრული თავისუფლებით. არავინ არ შეიძლება სარწმუნოების გამო იქნეს დევნილი და შეზღუდული თავის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებში. ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას სურს ან შეიცვალოს ერთი სარწმუნოება მეორეთი ან არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

არავის არ შეუძლია სარწმუნოების მიხედვით უარი განაცხადოს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ მოვალეობის ასრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონში იქნება განსაზღვრული. იმ აქტებს, რომლებსაც სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს, არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლება-მდგომარეობაზე.

16) ყველა მოქალაქეთ შეუძლიათ თავისუფლად დაარსონ ყოველგვარი სარწმუნოებრივი კავშირები, თუ რომ ამ კავშირის მიზანი და მოქმედება კანონით აკრძალულ არ არის.

17) ყველა მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, შეჭდვით ანუ სხვა რაიმე მექანიკური საშუალებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნება დაურთველად.

ყოველი ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

18) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოთ, როგორც დახურულში ისე ღია ადგილას.

19) ადმინისტრაციას შეუძლიან დახუროს კრება, თუ რომ მან ისეთი ხასიათი მიიღო, რომელიც შეიცავს რამე დანაშაულს.

20) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დაარსონ ყოველგვარი კავშირები, თუ მათი მიზანი კანონით არ არის აკრძალული.

კავშირის დახურვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

21) ის, ვინც ზემოაღნიშნულ კანონთა დადგენილებათ დაარღვევს, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი, მიეცემა პასუხისგებაში თანახმათ სისხლის სამართლის კანონებისა.

22) გარდა 21 მუხლში აღნიშნულ პასუხისგებაში მიცემისა, დაზარალებულთ უფლება აქვთ ექიონ უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

23) კერძო საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ცალკე კანონში ანსაზღვრული წესით და საფასურით.

24) პირველდაწყებითი სწავლა-განათლება უფასო და სავალდებულოა ყველასათვის.

25) სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

26) შინაური ამბოხების ან უცხო სახელმწიფოსთან ომის დროს პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელ რესპუბლიკაში ან რომელიმე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 5, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 17, 18 და 25, ომის დროს კი 34 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ სახით. რომ სამხედრო სამართალში მიცემა დაიშვებია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ რომ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლიან თავის პასუხისმგებლობის ქვეშ შეაჩეროს ზემოაღნიშნული გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ მან დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და მას ასეთი თავის დადგენილება წარუდგინოს.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-5, 8, 19 და 14 მუხლებში აღნიშნული უფლებათა გარანტია ნაწილობრივ იმდენათ, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

### პარლამენტი.

1) საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, პროპორციული, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით არჩეული 120 დეპუტატისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც 20 წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა ორი წლის ვადით.

2) პარლამენტის წევრთა ასარჩევათ რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებათ, თანახმად საარჩევნო კანონისა, თვითეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

3) პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე პროვინციას, რომელმაც ისინი აირჩია.

4) პარლამენტის წევრი პასუხ სგებაში არ მიეცემა იმ აზრის შეხედულებისათვის, რომელსაც იგი გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება იგი დატუსაღებულ იქნას ან სასამართლოში მიეცეს, სანამ პარლამენტის წევრათ ითვლება, უკეთუ თვით პარლამენტმა ამის დასტური არ მისცა. გამონაკლისს შეადგენს ისეთი შემთხვევა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს მიუსწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. დატუსაღებული ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი უნდა განთავისუფლებულ იქნეს უკეთუ ამას პარლამენტი მოითხოვს.

5) პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

6) პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოსაგან ან ადგილობრივ თვითმართველობის სამსახურში, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, ან ეჭიროს თვითმართველობის ხმოსნის ან რაიმე საპატიო თანამდებობა. დეპუტატს შეუძლია მიიღოს მთავრობისგან რაიმე პოლიტიკური დავალება არა უმეტეს ექვსი თვისა.

7) პარლამენტი ამ კონსტიტუციით დადებულ ფარგალში ერის სუვერენობის მატარებელია.

8) პარლამენტი გამოსცემს კანონებს, ფურცლებს და დადგენილებებს, მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

9) პარლამენტს ეკუთვნის უმაღლესი გამგებლობა ჯარის და საერთოთ რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების. პარლამენტის უფლებას შეადგენს ომის გამოცხადება, ზავის ჩამოვდება, დამტკიცება საზღვაო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან, აგრეთვე ამნისტიის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. პარლამენტი ამტკიცებს ბიუჯეტს, საშინაო და საგარეო სესხს, ირჩევს იმ პირთ, რომელთა არჩევა კონსტიტუციის ან კანონით აქვს მიკუთვნებული, და საერთო კონტროლს უწევს აღმასრულებელ ხელისუფალთა მოქმედებას.

10) პარლამენტის სხდომები საჯაროა, მაგრამ პარლამენტს შეუძლიან განსაკუთრებულ დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავისი სხდომა ან ნაწილი სხდომის.

11) პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა რწმუნებულებას და გადაწყვეტს ყოველივე დავას ამ საგანზე (შედრ. შტატი გან. 5 მ-ს).

12) პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის უბრალო უმრავლესობით (ნახევარი) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეგლამენტით ან კანონით სხვა რაოდენობა არის დადგენილი.

14) პარლამენტის სესიის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, უკეთუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა (იხ. შედარება შვეც. კონსტ. № 87, ბელგიის 38).

14) პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის და კითხვის მიღებისა. წესი და ფარგალი შეკითხვის და კითხვის მიცემის განისაზღვრება კანონით და რეგლამენტით (ბელ. 40).

15) პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტის საშუალებით წესს,

სისხლით ალსავსე. ჩვენ გადავირჩებით საბჭოთა რუსეთისაგან, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რომ ამ ლობიზე არ გადაძვრეს გერმანია.

მომავალ შინაგან პოლიტიკის შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: შენიშნა, რომ სოციალისტების მტკიცების წინააღმდეგ ჩემი კაბინეტი სახელმწიფოს თავდაცვისთვის სრულებით არ არის საშიშარი. მან განაცხადა, როგორც კი არჩევნების ციკლი გათავდება, მის შემდეგ სამი კვირის განმავლობაში კაბინეტი გადადგებაო.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ სასწაულები მოვიმოქმედეთ, არა სასწაული საფრანგეთის ხალხმა მოიმოქმედაო. კლემანსო ტრიბუნიდან ჩამოვიდა. იგი ტაშის ცემით გააცილეს. მთავრობას ნდობა გამოუცხადა 458, წინააღმდეგ ხმა მისცა 71.

# ახალი ამბები

აკაკი ჩხენკელი დღეს დილით მოელიან ბათუმიდან თფილისში.

✦ **იაფი ნავთი.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მოაწყო ქალაქში იაფი ნავთის დარიგება, რომელიც სხვადასხვა უბნებში დაურიგდებათ ცალკე მოქალაქეთ. ქალაქში მოწყობილია 45 განმანაწილებელი პუნქტი, რომელთა მისამართის გაგება შეიძლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში ბონებით დატარეული ნავთი იყიდება გირვანქა ორ მანეთად, დუქნებიდან 1 მ. 80 კ. და 1 მ 85 კ.

✦ თავდასხმა მილიციონერებზე და ყაჩაღების დახოცვა ოთხშაბათს, 24 დეკემბერს, მეორე უბნის კომისარიატიდან ექვს მილიციონერს მიჰყავდათ პანასევიჩის ქუჩით საგუბერნიო № 1-ლ საპყრობილეში სხვადასხვა ყაჩაღობის და თავდასხმის გამო დაპატიმრებული ტუსაღები ლევან კობახიძე, სამსონ სირაძე, გრიგოლ საჯაია და პროკოფი გურაბანიძე. პანასევიჩის ქუჩის და ამატუნიევის შესახვევის კუთხეში ორმა უცნობმა ბოროტმოქმედმა ესროლა მილიციონერებს დიდის ძალის ასაფეთქებელი „გრანატი", რომელიც იქვე გასკდა და დაარეტიანა ერთი მილიციონერთაგანი. ტუსაღებმა გაქცევა დაიპირეს, მაგრამ მილიც. მათ ესროლა, მოკლეს და სამსონ სირაძე მძიმეთ დაჭრეს, დანარჩენები კი დახოცეს. გაქცეულ გრანატის ჩამომგდებ ბოროტ-მოქმედთა შესაპყრობათ მიღებულია ზომები. ბოროტ-მოქმედების ადგილს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ იუსტიციის დეპარტამენტის მმართველი გ. ჟურდანია, სასამართლო პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი, ოლქის სასამართლოს პროკურორი მ. კანდელაკი, თფ. მილიციის უფროსი ვ. ლ. სულაქველიძე, პროკურორის ამხანაგი ვ. ლ. ნეპოკოიჩიცკი. შედგენილია ოქმი და სწარმოებს გამოძიება. დაშავებული მილიციონერი, მოკლულთა გვამები და დაჭრილი სირაძე გაგზავნეს საავადმყოფოში.

✦ **ფოსტა მოსკოვიდან.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვიდან მიიღო ფოსტა, რომელშიაც კერძო პირთა ბარათებიც არის.

✦ **ხალამო მუშათა კლუბში.** დღეს, მუშათა კლუბში, პროფესიონალურ კავშირთა საბჭო სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად მართავს სალამოს საოპერო, საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებებით.

✦ **მასწავლებელთა ყრილობა.** 8 იანვარს დანიშნულია საქართველოს საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა ყრილობა.

✦ **მთავრობაში.** 18 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: დაევალოს გზათა დეპარტამენტს შეადგინოს ტყიბულის მაღაროების ხარჯთ-აღრიცხვა, ხოლო მისი საკანონმდებლო წესით დამტკიცებამდე მიეცეს დეპარტამენტს ტყიბულის მაღაროების აუცილებელ სამუშაოთა შესასრულებლად (მუშებისათვის ბარაკების აგება და სხვა) 2 მილიონ მანეთი მომავალ სატრიალებელ თანხის ანგარიშში. ეს ფული მიეცეს მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში არსებულ თანხიდან. სამაგიეროთ მაღაროებმა დაამზადონ ქვა-ნახშირი მისთვის მიცემულ სესხის ასანაზღაურებლად.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გასაღების საქმის ვისმესთვის გადაცემა მოხდეს საჯარო ვაჭრობით, რაც მოკლე დროში დანიშნოს გზათა დეპარტამენტმა.

✦ **გუმეტის ხალამი.** საქართველოში არსებული „გუმეტი"-ს პარტიის პირველი ყრილობა მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ყრილობა გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ „გუმეტის" პარტია საქართველოს პროლეტარიატთან ერთად იმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

✦ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ვოლ-ლევიცკაიას, როგაჩევსკის, ინაშვილის მონაწილეობით მუშებისათვის ოპერა „ტრავიატა".

✦ **სალიტერატურო დილა.** კვირას, 28 დეკ., დილის 11 ს ქართულ კლუბში გაიმართება სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო, სალიტერატურო წრის სასარგებლოდ სალიტერატურო დილა, რომელიც უნდა მოწყობილიყო 21 დეკ. ნაყიდი ბილეთები გამოდგება ამ დილისთვის, აგრეთვე ბილეთების შეძენა შეიძლება სტუდენტთა სასადილოში და იმ დილას— ქართულ კლუბში.

✦ **დილა.** 28 დეკემბერს, შუადღის 12 ს., ხარფუხის სახალხო გვარდიის კლუბში გამართული იქნება განათლების სამხატვრო სახელოსნო სკოლის მოწაფეთა მიერ სალიტერატურო დილა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი ლექციები: 1) შალამბერიძე „ქიმია", 2) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია"

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სტეფანე ძიმისტარიშვილის მიერ შედგენილი დასურათებული ხალხური ზღაპარი ლექსად „ჩიტ ბელურა". შეიცავს 35 გვერდს და ღირს 6 მანეთი. გამოცემულია გამომცემლობა „ნორჩი საქართველოს" მიერ.

კრებები

შაბათს, 27 დეკემბერს, სალ. 4 ს., შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

— დღეს, სალ. 7 ს., დანიშნულია ვერაზე არსებულ გამრთობ ს—ბის ძველისა და ახალი გამგეობის წევრთა გაერთიანებული სხდომა.

— დღეს, სალამოს 7 ს. ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.

# პროფესიონალურ კავშირებში

**სურსათის საქმეზე მომუშავეთა კავშირში.** 21 დეკემბერს მუშათა სასახლეში შესდგა საკანდიტროებში მომუშავეთა კავშირის საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) საკანდიტროებში მომუშავეთა სექციის ორგანიზაცია; 2) ხსენებულ სექციის შეერთება სურსათის საქმეზე მომუშავეთა კავშირში; 3) მოხსენება კავშირის გამგეობის მოქმედების შესახებ; 4) ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ავანოვი, მდივნად სეროპიანი. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი. ის მოკლეთ აცნობს კრებას კავშირის მნიშვნელობას და მომავალ ცენტრალურ გამგეობის შექმნას, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი შემდეგ სექციებიდან: 1) სარდაფში მომუშავეთა სექციიდან, 2) მინერალურ წყლებზე მომუშავეთა, 3) ლუდის ქარხნის მუშათა 4) პურის მცხობლების, 5) მეწისქვილეების, 6) ზეთისა და საპნის ქარხნის მუშათა, 7) მეძეხვეთა, 8) მეხორცეების, 9) მაკარონის ქარხნების მუშათა 10) გალეტისა და კამფეტის დასამზადებელ ქარხნების მუშათა და 11) ჩაის საწონ ქარხნის მუშათა სექციიდან.

მომხსენებელი კრების ყურადღებას აქცევს იმ მოვლენას, რომელიც დღემდე არსებობდა ამ კავშირებში, როგორც უორგანიზაციო და მცირე რიცხოვანი. ეხლა კი, ამბობს მომხსენებელი, ეს ზემოთ აღნიშნული სექციები ერთ მთლიან კავშირად გადიქცევა, უთუოდ, შეიქნება ერთი ძლიერი ორგანიზაცია და გამოსვლები, იქნება ის პოლიტიკური თუ ეკონომიური, უფრო მიზანშეწონილი იქნებაო.

ინსტრუქტორმა კრების ყურადღება მიაქცია აგრეთვე საკანდიტრო და პურის საცხობებში სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რითაც ყოველი მუშა ჰიგიენურათ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს და ამით შეფერხდება ის სენი, რომელიც ამ დროს მძვინვარებს მუშებში. თუ იდეალური სიწმინდე იქნება დაცული, შეიძლება სენი სრულიად მოისპოს.

კრებამ მიიღო ეს მოხსენება და გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საკანდიტრო სახელოსნოებში მომუშავეთა კავშირი უერთდება სასურსათო სახელოსნოებში მომუშავეთა კავშირს.

ძველი გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ავანოვი. მან აღნიშნა, რომ 1917 წლის შემდეგ, რაც მთავრობამ აღკრძალა ტკბილეულობის გაკეთება, საკანდიტრო სახელოსნოში მომუშავეთა კავშირი 1917 წლის ბოლო თვეებში დაიშალა. კავშირს ქონდა ინვენტარი, მხოლოდ ფინანსიური მხრივ ის ცუდ პირობებში ყოფილა. კავშირს სულ ქონია სახელმწიფო ბანკში 6,000 მანეთი და 4,000 მანეთიც მუშებში ყოფილა დაბანდული. კრება დაკმაყოფილდა ამ მოხსენებით.

გამგეობაში არჩეულ იქნა 7 კაცი და 2 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 3 წევრი და 1 კანდიდატი 22 დეკემბერს შესდგა გამგეობის სხდომა. პირველი სხდომა ორგანიზაციული ხასიათისა იყო. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი და შემდეგ გაგზავნილ იქნა დელეგატები წევრთა რეგისტრაციისათვის 2 საკანდიტრო სახელოსნოში და ერთ კამფეტის ქარხნებში. გამგეობამ დაადგინა გადიდებულ იქნას საწევრო გადასახადი: კავშირში შესასვლელი ერთდროული 10 მ. 1-ლი კატეგორიის მუშებისათვის საწევრო თვეში 15 მანეთი და ხელოსნებისათვის 20 მანეთი წესდების შედგენა გამგეობამ მიანდო პრეზიდიუმს ინსტრუქტორის დახმარებით. კავშირთა ცენტრალურ საბჭოში ზემოთ აღნიშნულ კავშირიდან გაგზავნილ იქნა ამხანაგი დოლიძე.

კანცელარიის საკითხების შესახებ დადგენილ იქნა ხსენებულ კავშირის კანცელარია შეუერთდეს პურის მცხობელთა კავშირის კანცელარიას. გამგეობამ ამხ. ავანოვსა და ჯოხაძეს დაავალა შეკრიბოს მუშებში დაბანდებული ფულები.

# უცხოეთი

რუსეთი.

შეთქმულობა. გაზ. „ტიმეს"-ის ცნობით პეტროგრადში გერმანელ ჯაშუშის შემწეობით ბოლშევიკებს აღმოუჩენიათ დიდი სამხედრო შეთქმულება. დაუტყვევებს 500-ზე მეტი მონაწილე შეთქმულობისა, მათ შორის ერთი ინგლისელი კაპიტ. ჯიბსონი.

გალიციის ბედი უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა სლავინსკიმ განაცხადა, რომ ტყუილია გავრცელებული ხმები, თითქოს გამორკვეული იყოს გალიციის ბედი. მისი სიტყვით, ინგლისი მომხრეა, რათა გალიციამ თითონ გამოარკვიოს თავისი ბედი ისე, როგორც მას მოესურვება; მეორე მხრივ საფრანგეთი იმ აზრს იცავს, რომ საჭიროა გალიცია შეუერთდეს პოლონეთს.

**დენიკინელთა მოქმედება ადესაში.** საინტერესოა მოხალისეთა ჯარის მოქმედების დასახასიათებლათ ის ბედი, რომელიც ეწვია ოსმალეთის, სპარსეთისა და ჩინეთის კონსულებს ადესაში. ბოლშევიკების მიერ ადესის აღების შემდეგ კონსულებმა მიიღეს წინადადება განაგრძონ თავიანთი ოფიციალურ მოვალეობათა ასრულება. ცოტა ხნის შემდეგ ქალაქი მოხალისეთა სარდლობას ჩაუვარდა ხელში. მოხალისეთა ოფიცრებმა გაჩხრიკეს საკონსულოები და დაიტაცეს მათი ქონება. ოსმალეთის კონსული იძულებული შეიქნა ქალაქიდან გაპარულიყო.

**მდგომარეობა თურქესტანში.** მოსული ცნობების თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა და ბოლშევიკებს შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. ამას ხელს უწყობს უმთავრეს ნაწილათ სურსათ-სანოვაგის სიმცირე; ბოლშევიკები ძალათ სტაცებენ ხელიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს სხვადასხვა საქონელს, რაც ჯარისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ეს იწვევს მცხოვრებთა დიდ უკმაყოფილებას, რომელიც თავის გამოხატულებას ფართო ამბოხებებში პოულობს. ბოლშევიკები დარწმუნებული არიან, რომ მალე აიღებენ ქალ. კრასნოვოდსკს; ამ რწმენას ის გარემოება ამტკიცებს, რომ მოხალისეთა ჯარი თანდათან სუსტდება: ისინი ვერ ღებულობენ ვერავითარ დახმარებას; მოხალისეთა რაზმში მყოფი სომხები სტოვებენ ლავიანთ ნაწილებს და ბოლშევიკებისაკენ გადადიან. მაგრამ კრასნოვოდსკის აღება არ ახარებს ბოლშევიკებს, ვინაიდან ქალაქი უდაბნოში მდებარეობს და მისი გამოკვება კიდევ უფრო გაამწვავებს სასურსათო კრიზისს.

ოსმალეთი.

**მდგომარეობა ანატოლიაში.** ანატოლიაში მომხდარ ამბებისა და ადგილობრივ ცხოვრების გასაცნობათ ოსმალეთის მთავრობის მიერ გაგზავნილ იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაათავა მუშაობა. კომისია ახლო ხანში წარადგენს თავის დასკვნებს სამხედრო სამინისტროში, რის შემდეგაც, ფიქრობენ, ანატოლიის მიმართ მთავრობის პოლიტიკას გარკვეული ხასიათი მიეცემა.

ხვარხეთი.

**მდგომარეობა რეშტში.** გაზ. „ირანის" ცნობით, რეშტში აზრათ არბევს და აწიოკებს მშვიდობიან მცხოვრებთ ბრბო ჯანგელიანებისა [illegible] მაც პირველი [illegible] ნასკნელი ისევ განაგრძობს მთაში მდებარე სოფლების დარბევას. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აკრძალულია მაგარ სასმელებით ვაჭრობა, კარტის თამაში და აგრეთვე დახურულია ყველა გასართობი დაწესებულებები.

ადერბეიჯანი

**საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმე.** ადერბეიჯანში მყოფმა შვეიცარიის წარმომადგენელმა წინადადება მისცა ადერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაიჭიროს შვეიცარიასთან სავაჭრო დამოკიდებულება. შვეიცარიის წარმომადგენელი ითხოვს ნება მიეცეს მას გაიტანოს სანიმუშოთ 100 ფუთი აბრეშუმი, სამაგიეროთ იგი ჰპირდება სააფთიაქო და ქიმიური საქონლის შემოტანას.

# ჩვენი სასამართლო

ახლო მომავალში საქართველოს დამოუკიდებლობას ორი წელი შეუსრულდება.

იმედი გვაქვს, რომ დიდი ცდა არ დასჭირდება ქართველ ერს, სამშვიდობო კონფერენცია სალამს უძღვნის მას და საქართველოს დროშაც ღირსეულ ალაგს დაიკავებს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში.

და მიუხედავად ჩვენი ასეთი მდგომარეობისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი აპარატი სრულიად მაინც ვერ ავალაპარაკეთ ჩვენს დედა ენაზე.

რისთვის უხაროდა ქართველ გლეხს მისი ქვეყნის თავისუფლება, თუ არა იმ აზრით, რომ მას შეძლება მიეცემოდა აცდენოდა ყველა უხეშ თარჯიმანს და თავისი ჭირ-ვარამი თავისივე ენით გამოეთქვა და აეხსნა მსმენელთათვის?! და განა მთლიანად იგი ღირსა ამას?

ჯერ კიდევ დღესაც სასამართლო, ეს უპირველესი ცენტრი ჩვენი მშრომელი ხალხის ყოველივე დუხჭირის სამართლის მომფენისა, ფაქტიურად არ არის გაეროვნებული.

უცხო ვინმე რომ შევიდეს ჩვენს თფ. საოლქო სასამართლოში და მიმოიხედოს, თავის თავს წარმოიდგენს რუსეთის იმპერიაში. ირგვლივ წარწერები რუსულ ენაზე, სასამართლოს უმთავრეს დარბაზს, სენატის ახლოს, ამშვენებს ყოფილ იმპერატორ ალექსანდრე II ძეგლი, ირგვლივ რუსული საუბარი —ეს ყველაფერი გაკვირვებას ჰბადებს სტუმარზე და იგი მიეშურება სასამართლოს სხდომათა დარბაზში, იქ.

---

რომლის მიხედვით იგი მოქმედობს თავის ფუნქციების ასრულების დროს (გ. 46).

16) პარლამენტის სესია იკრიბება ყოველ წელიწადს ნოემბრის პირველ კვირა დღეს.

17) პარლამენტის სესიის დროებით შეჩერება უნდა მოხდეს პარლამენტის გადაწყვეტილებით

18) პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს წელიწადში არა უმეტეს ხუთი თვისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში მისი მოწვევის უფლება აქვს მთავრობას ან პარლამენტის პრეზიდიუმს. პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

19) ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტის ყოველ წევრს, თვითმართველობას, ან 5000 ამომრჩეველს.

20) სამი მაზრის ერობის, ან 20,000 ამრჩევლის ხელმოწერილი მოთხოვნილებით პარლამენტი ვალდებულია კანონ-პროექტი საბოლოოდ განხილვის შემდეგ ხალხის წინაშე დასვას კენჭისსაყრელად (რეფერენდუმი).

21) პარლამენტი თითეულ სესიის დასაწყისში აირჩევს პრეზიდიუმს. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება თავმჯდომარედ და მის ამხანაგად იყოს ორი სესიის განმავლობაში.

აღმასრულებელი ხელისუფლება.

1) უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

2) მთავრობას ყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

3) მთავრობის თავმჯდომარეს აირჩევს პარლამენტი.

4) მთავრობის დანარჩენ წევრებს— მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც უფლება აქვთ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და ამტკიცებს პარლამენტი.

5) მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს, ან რაიმე პროფესიას მისდევდეს, მას შეუძლია მხოლოდ იყვეს პარლამენტის წევრი და თვითმართველობის ხმოსანი.

6) თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას და განკარგულებას კანონების აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისათვის თანახმად კანონში აღნიშნული წესისა.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული ხელის უფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისთვის მიკუთვნებული.

7) თავმჯდომარეს ავათმყოფობის ან არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს ერთი ერთი მინისტრი, რომელსაც თავმჯდომარე მიანდობს.

8) მთავრობის საერთო უფლებას და მოვალეობას შეადგენს:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა.

ბ) თვალ-ყურის დევნა კონსტიტუციის და კანონების სისწორით ასრულებისათვის.

გ) წარდგენა პარლამენტისათვის თავის კანონ-პროექტისა და აგრეთვე დასკვნისა იმ კანონ-პროექტებზე, რომელნიც საპარლამენტო ან სხვა ორგანოების ინიციატივით არის აღძრული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) ზრუნვა რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის გარეშე ხიფათისაგან, მისი ნეიტრალიტეტის და დამოუკიდებლობის დარღვევისაგან

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკასა 3,000 კაცამდე, ვადით არა უმეტეს სამი კვირისა, უკეთუ მეტი ძალა დასჭირდება, ან მეტის ვადით, უნდა ამის ნებართვა მიიღოს პარლამენტისაგან.

ზ) განაგებს ფინანსებს, ხარჯავს ფულს თანახმად კანონისა და ყოველ წლიურად წარუდგენს პარლამენტს შესავალ-გასავლის პროექტს.

თ) ანგარიშს მისცემს პარლამენტს თავის მოქმედებაში და ყოველ სესიაში ერთხელ მაინც წარუდგენს მოხსენებას საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ. ამის გარეშეც იგი ვალდებულია აღუდგინოს პარლამენტს სპეციალური მოხსენება, უკეთუ პარლამენტი მოითხოვს.

9) რესპუბლიკის ყველა დანარჩენი საქმეების მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

10) მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის და თვითოეული წევრი მთავრობისა პირადათ თავის მოქმედებისათვის.

11) მინისტრებს უფლება აქვთ პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დეპუტატად ირიცხებიან.

12) მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტის სხდომას დაესწროს და, უკეთუ მოითხოვს, პარლამენტი ვალდებულია მას მოუსმინოს. თავის მხრივ პარლამენტის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა განმარტება მისცეს.

13) მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

14) თავმჯდომარის არჩევნები ხდება ყოველ წლიურად. ყოველ შემთხვევაში ახალი პარლამენტის მოწვევით ხდება ახალი არჩევნები.

15) ერთი და იგივე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედი-ზედ არ შეიძლება.

სახელმწიფო ფინანსები.

1) არავითარი გადასახადი არ შეიძლება იქნეს დაწესებული, ან შეკრებილი, თუ წინასწარ ის პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივ თვითმართველობათა უფლებას გადასახადების დაწესებისას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

2) არავინ განთავისუფლდება სახელმწიფო გადასახადისაგან, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა.

3) თუ არა კანონის ძალით, არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება იქნეს გაღებული სახელმწიფოს ხაზინიდან.

4) პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება იქნეს აღებული სახელმწიფოს სესხი და არც რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

5) როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია და სესხის აღებას კი საჭიროება მოითხოვს, საჩქაროთ უნდა იქნეს მოწვეული პარლამენტის სხდომა.

6) სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველ წლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

7) თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაფაროს.

8) ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

რესპუბლიკის სამხედრო ძალები.

1) ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადათ მოიხადოს სამხედრო ბეგარა თანახმად სამხედრო კანონისა.

2) რესპუბლიკის სამხედრო ძალების დანიშნულებაა სახელმწიფოს დაცვა გარეშე მტრისაგან და წესიერების უზრუნველყოფა შიგნით.

3) ჯარის ნაწილების წყობილება, სამხედრო ბეგარის ვადა და ყოველივე წესები სამხედრო ძალთა შესახებ განისაზღვრება კანონით.

4) ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველ წლივ ადასტურებს პარლამენტი.

5) ჯარი სდებს ფიცსა ან აღთქმას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულებისას.

სასამართლო

1) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობენ მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოების ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

2) სასამართლო მოქმედებს დამოუკიდებლად და ემორჩილება მხოლოდ კანონს. მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის სახელით.

3) არც ერთი სასამართლოს განაჩენი არ შეიძლება იქნეს გაუქმებული ან შეცვლილი საკანონმდებლო და საადმინისტრაციო ორგანოების მიერ.

4) სასამართლოს სხდომები საჯაროთ სწარმოებს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო სიმშვიდის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება დახურული იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

5) ყოველგვარ სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულობისათვის არსდება ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი.

6) მოსამართლის თანამდებობის მიღების წესი, და აგრეთვე პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, აღნიშნულია კანონში.

7) არ შეიძლება სასამართლოს წევრის დათხოვნა ან ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანა მათი სურვილის წინააღმდეგ.

თანამდებობიდან მათი დროებითი გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სამართალში ან გამოძიებაში იქნებიან მიცემული.

სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

ადგილობრივი მართველობანი.

1) ადგილობრივი მართველობანი განაგებენ ადგილობრივ მართვა გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

2) ორგანიზაცია, უფლებანი და მოვალეობანი და მართვა გამგეობის წესი ადგილობრივ მართველობათა განისაზღვრება კანონით.

3) ადგილობრივ მართველობებს აქვს უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა კანონის ფარგლებში.

4) ადგილობრივი მართველობანი აირჩევა საყოველთაოთ, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით პროპორციონალურ სისტემით.

5) ადგილობრივ მართველობათა დადგენილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

6) მართველობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივ მართველობათა დადგენილებანი და განკარგულებანი, თუ იგინი ეწინააღმდეგება კანონს. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

7) ადგილობრივი მართველობანი მართვა გამგეობის საქმეებში ემორჩილებიან მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს.

8) კანონი განსაზღვრავს იმ საგნებს, რის შესახებ ადგილობრივ მართველობათა დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალური ხელის უფლების მიერ.

სახელმწიფო და ეკლესია.

1) სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან, არ შეიძლება იქნეს გამოცემული ისეთი კანონი, რომელიც აღიარებს ან უარყოფს რომელიმე სარწმუნოებრივობას ან სარწმუნოებრივ ორგანიზაციას.

2) არც ერთი სარწმუნოებრივი კულტი არ სარგებლობს უპირატესობით.

3) ყოველნაირი ხარჯი სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ კულტის საჭიროებისათვის აკრძალულია.

სახელმწიფო მოხელენი.

მუხ. 1) ყოველ თანამდებობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, თუ იგი კანონში აღნიშნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

მუხ. 2) მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან იმ დაწესებულების ან პირის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული, ხოლო სრულებით დათხოვა სამსახურიდან შეიძლება სასამართლოს, ან იმ ორგანოთა დადგენილებით, რომელსაც ამის უფლება ექნება მინიჭებული კანონის მიერ.

მუხ. 3) თვითეულ მოხელეს მიენიჭება უფლება პენსიისა; მოხელისა ან მის ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობებს განსაზღვრავს კანონი.

მუხ. 4) თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესის მიხედვით.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე მის დანაშაულის გამო საზოგადო წესით.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოხელეს მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს.

ნებ იქ ჰქონდეს ქართული ენა, სადაც სამართალს სჭრიან საქართველოს რესპუბლიკის სახელით, მაგრამ აქაც გაოცებული რჩება, ვინაიდან ხმამაღლა ისმის რუსული კილო და რუსულივე ბრალდებები. ან კი როგორ გნებავთ ქართულად აწარმოოთ საქმე, როდესაც თვით მთავარი მოსამართლენი და მრავალი ბრალმდებლები რუსები არიან და თუ გნებავთ, თვით საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მაც არ იცის სრულიად ქართული ენა, რის გამო ყოველივე მიწერ მოწერა სასამართლოში რუსულად სწარმოებს, გარდა იმ ქაღალდებისა, რომელნიც სამინისტროში იგზავნებიან, ისიც მიტომ მხოლოდ, რომ სამინისტროა, თორემ აქაც არ დაგერიდებოდნენ და უცხო ენაზედ მიგიწერდნენ.

ზედმიწევნით ასევე ხდება საბრალმდებლო ნაწილშიაც, სადაც მეტ წილად საბრალმდებლო აქტები რუსულად იწერება და ასე, იგზავნებიან სასამართლოში.

და ყველა ამას სასამართლოს თავმჯდომარე სიჩუმით ატარებს და ეს გასაგებიც არის. თვით არ იცის მშობლიური ენა და პირადი მდივანიც არა ქართველი ჰყავს, რომელსაც არაფერი არ გაეგება რა სახელმწიფოებრივი ენისა.

ამიტომ ეს გარემოება ადვილი ამოსაცნობია, მაგრამ რას ფიქრობს თფ. საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნი მ. კანდელაკი, როდესაც რუსულად შედგენილ საბრალმდებლო აქტებით დამთავრებულ საქმეებს აწერს ხელს, ისიც სრულიად ახალ საქმეზედ და აძლევს მას შემდეგ მსვლელობას?

თუმცა რა, სასამართლოს გაქართულების მაგიერ მთავრობა ნიშნავს ისეთ პირებს, ბრალმდებლის ამხანაგებად და სასამართლოს წევრებათ სულ უკანასკნელ ხანებში, რომელთაც ქართული ლაპარაკიც კი არ იციან და ლიტერატურულ ენას ხომ ნულარ ჰკითხავთ.

თქვენ ადვილად შეხვდებით ისეთ კურიოზებს, რომ ქაღალდი შედგენილია ქართულ ენაზე და ქვეშ კი მას ამშვენებს რუსული ხელის მოწერა და ნამეტნავად ამ ხანებში რა დაინახეს, რომ პატრონი არავინ არის და უჯახოთ შეიძლება გავლაო, პირდაპირ ბრძანებას სცემდენ განყოფილების უფროსები მოხელეთადმი, რომ მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე აწარმოვონ და მოხელეც უფროსის ბრძანებას ძალაუნებურად ასრულებს.

ვიტყვი მეტს, სასამართლოში ხდება შტატების შემცირება და მაყურებლის თვალწინ იშლება შემდეგი სურათი: განყოფილებები ერთდებიან და მაშასადამე თანამდებობათა პირები მცირდებიან და როგორ გგონიათ, როგორია შედეგი ამ შემცირებისა?

ქართველი მდივნები, მოხელენი ჰკარგავენ ადგილებს და მათ ნაცვლად რჩებიან ქართულის არ მცოდნე პირნი და თუ დაუმატებთ, რომ განყოფილებებს განაგებენ უმთავრესად (მაგ. სისხლის სამართლისას) რუსები და კანცელარიათა უფროსები იგინი არიან, აქ რასაკვირველია რუსული ენა იბატონებს ამავე ენაზე შედგენილ საბრალმდებლო აქტებთან შეხმატკბილებული.

და ყველა ეს ხდება მაშინ, როდესაც სასამართლოში მოიპოვებიან ქართველი იურისტები და ღირსეული მომუშავენი.

ბუნებრივად საკითხავია, თუ სასამართლოს არ გააქართულებდენ, მაშ, რათ დაითხოვეს დიდი ხნის ნამსახური და სამსახურში დახელოვნებული პირნი?

ეს ხდება ცხადლივ ბ. ბ. დამფუძნებელ კრების წევრთა თვალწინ და როგორც ეტყობა, ბრალმდებლის დასტურითაც, რადგან იგი ხელს აწერს ყოველივე უცხო ენაზე შედგენილ ქაღალდს, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს თვალ-ყური ადევნოს, რომ რესპუბლიკაში უკანონობა არ ხდებოდეს და, თუ ხდება, ისჯებოდეს.

და განა ამაზე დიდი დანაშაული კიდევ იქნება სადმე, რომ ქართველთა სახელმწიფოში სამართალი უცხო ენაზე სწარმოებდეს და ქართველი კაცი ისევ გაუგებრობაში იყოს რომელ ენაზედ ბრალს სდებენ მას და არ შეეძლოს მშობლიურ ენაზედ აუხსნას მოსამართლეს თავისი სურვილი სხვის დაუხმარებლივ?

მაშ, რაშია განსხვავება წინანდელ და ახლანდელ სასამართლოს შორის?

იქნებ იმაში, რომ მცირეოდენი გადაჯგუფება მოხდა და მუშაობამ იწყო სუსტი მაჯის ცემით წარმოება?

ბუნებრივია, რომ სხდომათა დარბაზში თუნდ თფილისში და თუნდ პროვინციაში, როდესაც სასამართლო მიემგზავრება საქმეთა ადგილობრივ განსახილველად, მსმენელთა, მოწმეთა და ბრალდებულთა სახეზედ მხოლოდ გაკვირვებათ ნიშანს კითხულობთ. და თუ ჩვენ განვაგრძეთ საბრალმდებლო აქტების, მიწერ-მოწერის უცხო ენაზედ წარმოება და ახალ-ახალ ქართულ ენის უცოდინარე პირების დანიშვნა ან დატოვება თანამდებობაზედ, რასაკვირველია, ქართული სამართალი ს ოცნებო ბილად წარმოგვიდგება და მოგვიხდება მხოლოდ ღრმად ჩაფიქრება და ჩვენივე თავის შეკითხვა: „ხომ გადაგვარების გზას არ ვუახლოვდებით?“ მე ვიმედოვნებ, რომ ის პირები, რომელთაც შეეხებათ სასამართლოს სრულიად ფაქტიურად გაქართულების საკითხის გადაჭრა თუ გადაჭრა, მიაქცევენ ამ საკითხს ღირსეულ ყურადღებას.

ური.

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 23 დეკემბერს შესდგა ს. სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო სრული შემადგენლობა. დღის წესრიგში დაისვა კითხვები: პროცენტების განსაზღვრა თფილისის კომიტეტის სასარგებლოთ, ცენტრალური კომიტეტის მომართვა პარტიულ მუშაობის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება თფილისის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდაზე, ცენტრალურ კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირის შესახებ და სხვა.

კრების გახსნისას ამხ. თევზაძე აკეთებს ვრცელ მოხსენებას ცენტრალურ კომიტეტიდან და დამფუძნებელ კრებიდან, რასაც კრება სიამოვნებით და კმაყოფილებით ისმენს. შემდეგი მოხსენება კეთდება ამხ. აბდუშელის მიერ სატარიფო პალატიდან, ეს მოხსენება მეტად სასურველი და საყურადღებო იყო. შემდეგ ამისა კრება შეუდგა კითხვების გარჩევას. პირველი გადასაჭრელი საკითხები იყო პროცენტების განსაზღვრა კომიტეტის სასარგებლოთ. დღემდე კომიტეტის სასარგებლოთ რაიონები იხდიდენ თვიურათ, თვითეულ წევრზე, მარკების სახით 50 კ. ამ ფულით კომიტეტს უნდა დაეფარა თავისი ხარჯებიც და ცენ. კომიტეტისათვისაც გადაეძლო, თანახმად პარტიულ წესდებისა 30 კ. თვითეულ პარტიის წევრზე. მაგრამ, ვინაიდან მთელი შემოსავალი არ ფარავდა კომიტეტის ხარჯებს და უკანასკნელი საარსებო წყაროებისათვის მიმართავდა სხვა საშუალებებს, ამიტომ თავის თავად ცხადია კომიტეტი ვერაფერს გადიხდიდა ცენტრალურ კომიტეტის სასარგებლოთ (გარდა საგანგებო ფონდებისა, როგორც მაგალითათ: დამფუძნებელ კრების ფონდის და ამ ნაირათ არ სრულდებოდა წესდების მუხლი, რომლითაც ყველა ორგანიზაცია ვალდებულია იხადოს ცენტრის სასარგებლოთ განსაზღვრული თვიური ნორმა. თფილისის კომიტეტმა მიიღო ყველა ეს გარემოება მხედველობაში, და სასურველათ სცნო, რომ შემდეგში ასეთ მოვლენას არ ჰქონდეს ადგილი. ამისათვის დაადგინა, იმ გადიდებულ საწევრო გადასახადებიდან, (თფილისის ორგანიზაციების შეერთებულმა კონფერენციამ 9 ამ თვეს დაადგინა გადიდებულ იქნას თვიური საწევრო გადასახადი 3 მანეთამდე) რომელიც შემოღებულ იქნება მომავალ წლის პირველ იანვრიდან. ნახევარი გადასახადისა შეჰოვა, მარკების სახით კომიტეტში, ე. ი. თვითეული პარტიული მარკა ეღირება 1 მ. 50 კ.

ცენტრალური კომიტეტის მომართვა პარტიულ მუშაობის შესახებ კომიტეტმა მოიწონა და დაავალა მდივანს მისი სისრულეში საჩქაროთ მოყვანა.

რაც შეეხება თფილისის გაწმენდას ზედმეტ ელემენტებისაგან, ამის შესახებ ითქვა, რომ ეს დადგენილება მეტათ სუსტათ და ზოგჯერ უსამართლოდაც კი ტარდება: იმის გარდა რომ, ბევრი სპეკულიანტები და ნივთიერათ შეძლებული ხალხი სცდება სხ. და სხ. ხრიკებით ამ გადასახლებას, გადასასახლებელი ქაღალდები მოსდით ისეთ პირებს, რომლებიც სამართლიანათ ამისი ღირსი არ არიან (მუდამ მცხოვრები ბებრები, უატესტატო მუშები, რომლებიც არსად არ ირიცხებიან და სხვა). რომ თავიდან აცილებული იქნას ზოგიერთი გაუგებრობა და ხელი შეეწყოს ამ მეტად რთულ საქმის ცხოვრებაში შეძლებისამებრ გატარებას, კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, განაცხადონ ქალაქის ჩვენ ფრაქციაში ყველაფერი რაც გაუგებრობას იწვევს ამ საკითხის გარშემო.

ცენტრალურ კომიტეტისაგან მოწვეულ ფინანსიურ საკითხებზე თათბირს დაესწრებიან კომიტეტის მხრივ: წივწივაძე და გიორგაძე.

შემდეგ გაირჩა სხვა და სხვა წვრილმანი კითხვები.

X.

**არსენალი.** 19 დეკემბერს შესდგა მორიგი სხდომა არსენალის მცირე-კოლლექტივსა. დღის წესრიგში პირველ საკითხათ დასმულ იქნა შესახებ იმ წერილებისა, რომელიც თავსდება გაზეთ „ერთობაში“ „საარტილერიო საწყობის“ სათაურით, ყოველ მხრივ წერილების გასინჯვის შემდეგ დადგენილ იქნა: ეთხოვოს რედაქციას, ისეთი წერილები, რომელიც შეეხება არსენალს და საარტილერიო საწყობს და იქნება საერთო ხასიათის, და არა კერძოთ რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ, მოათავსოს იმ შემთხვევაში, თუ ის შემოწმებული იქნება მცირე—კოლლექტივის-მიერ. შემდეგ ამხ. ანთიძემ გააკეთა მოხსენება რაიონული კოლლექტივის უკანასკნელი სხდომის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა საყურადღებოთ. მესამე საკითხათ, დასმულ იქნა საკითხი სახალხო უნივერსიტეტის შესახებ—დადგენილ იქნა მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რათა ამხანაგები უკლებლათ ისმენდენ ლექციებს, სადაც სცხოვრობენ იმ უბნებში.

ა. ხავთასი.

# მუშათა შორის

**კრწანისი.** თფილისში არსებობს სახელმწიფო მამულები, ბაღები რომლებიც გაცემული არის იჯარით თვითმპყრობელობის დროს. ეს შემოსავლიანი მამულები მოიჯარადრეებს ძველ ფასებში უჭირავთ, რაც რასაკვირველია დიდათ საზიანოა ისედაც ჩვენ ღარიბ ხაზინისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძველი კანონის ძალით მოიჯარადრეს ნება ეძლეოდა სახელმწიფო მამულში აეშენებია სახლი, გადიოდა დრო და, როგორც დახელოვნებული პირი, აძრავდა საკითხს მამულის გამოყიდვაზე, რასაც უეჭველია სულ მცირე საფასურით იგდებდა ხელში. სწორეთ რომ ამ გზას დაადგნენ ბევრი მოიჯარადრენი, როდესაც ქალაქის მამულების ფასი აგრე გაიზარდა, თორემ რა წარმოსადგენია, როდესაც შენობის მასალამ იმატა ათი-ათასობით, ამ დროს ვინმემ გაბედოს სახლის აშენება. მაგრამ ვაჭარი, ჩარჩი უფრო შორს იხედება და სჯის კიდეც შემდეგნაირათ: თუ სახლი დამიჯდა ძვირათ, მამულს ხომ მუქთათ ჩავიგდებო. სწორედ რომ ამ მოსაზრებით იქცევა კრწანისში სახელმწიფო მამულის მოიჯარადრე ალექსანდრე ძაგანია, რომელმაც ამ ერთი თვის წინათ ააშენა სახლი სახელმწიფო მამულში. ამის მაგალითს ალბათ მიჰყვებიან ნავტიკოვები, მარკოზოვები და ძმანი მისნი...

კრწანისში არიან უმიწაწყლო მუშები, რომლებიც გადმოხვეწილან იმერეთიდან ლუკმა პურის საშოვნელათ, აქ დაულევიათ ჯანი, სიცოცხლე, აქ დაბერებულან და შეძენით კი ვერა შეუძენიათ.

დროა ჩვენმა მიწად-მოქმედების სამინისტრომ ამ მოვლენას მიაქციოს ყურადღება და სანამ არ გამოსულა დეკრეტი ქალაქის მამულებზე, შეიმუშაოს დროებითი კანონი, რომლის ძალითაც: 1) დარღვეულ იქნას ძველი პირობები მოიჯარადრეებთან, რადგან ის იყო თვითმპყრობელობის დროს დადებული და სრულიად მიზან შეუწონელია ჩვენი დროისთვის და მაზარალებელი სახელმწიფოსი; 2) დანიშნულ იქნას დრო მამულების იჯარით გაცემისა, უპირატესობა ყოველ შემთხვევაში მიეცეს უმიწაწყლო მუშას; 3) აკრძალულ იქნას სახელმწიფო მამულში სახლების აშენება, ვისაც კი აშენებული აქვს მიზომილ იქნას ნაჭერი რაც სახლს სჭირია, დანარჩენი ბაღი გაცემულ იქნას.

სამინისტრო ამით ორ საქმეს გააკეთებს, ერთი ის, რომ შემოსავალი სახელმწიფოსი გაიზრდება ათი-ათასობით და მეორე ის, რომ ბაღები გადაეცემა პირდაპირ მიწის მუშას და არა ვინმე ვაჭარს.

მინუსი.

# პროვინცია

**სოფ. გურჯაანი (კახეთი).** გამოცხადდა თუ არა საქართველოს მთავრობის დეკრეტი მამულების ნორმების დარიგების შესახებ, ამოძრავდენ მთელი სამი მაზრის თავადები: სახელდობრ, სიღნაღის, თელავის და თიანეთის. ყველამ გურჯაანში მოინდომა ნორმის აღება. ძნელათ არის კახეთში ისეთი თავადი, რომ აქ მონაწილეობა არ ჰქონდეს, ზოგს აქაური ქალი ჰყავს ცოლათ, ზოგს აქაური სიძე და სხვ. ყველა თხოულობს გურჯაანში ნორმის მიღებას, რადგანაც აქ ღვინო კარგი მოდის და მასთან ერთად სადგურიც არის რკინის გზისა საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს და ყოფილ თავადებს მიწის ნორმა მიეცეთ იქ, სადაც ბინადრობენ და ამით ბოლო მოეღოს ხალხთა შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილებას მამულების შესახებ.

ნიკო ლართლიშვილი.

**ფოთი.** ვისაც ამ რევოლიუციის შემდეგ ფოთში უცხოვრია, ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ყოველთვის, როცა ფოთის მოქალაქენი დღესასწაულობენ რომელიმე დღეს ანუ მართავენ მიტინგს, ხალხი უთუოდ დიდი ტაძრის მოედანზე იკრიბება. ურიგო არ იქნებოდა, დაერქვას ამ ადგილს „თავისუფლების მოედანი“, საჭიროა ცოტაოდნად ამაღლება ამ ადგილის აქვე მახლობლად მდებარე ზღვის და რიონის პირიდან მოტანილი ქვიშით და თიხით, რადგანაც ადგილი მეტად დაბალია და მუდამ სავსეა წყლით. 12 დეკემბერს, აქ ისტორიულ სახალხო დღეს, ფოთის მოქალაქენი და გვარდია ჯარითურთ ჩვეულებრივ შეიკრიბნენ ამ მოედანზე და ვინც ტაძრის კიბეებზე არ იდგა, ისინი წყალში იყვნენ გაჩერებულნი რამდენიმე საათის განმავლობაში. ზეიმს დაესწრო 5000 კაცი. მეც იქვე ახლოს ვიდექი და ვანგარიშობდი—ყველამ რომ ოთხი-ხუთი კალათა ქვიშა მოიტანონ ზღვის პირიდან, თავისუფლების მოედანი ამაღლდება, ჭაობიც მოისპობა და მართლა სადღესასწაულო მოედანს დაემსგავსება.

კარგი იქნება ქალაქის გამგეობამ თავს იდვას ამ საქმის მოგვარება და მოუწოდოს ფოთის დემოკრატიის მოედანი აამაღლონ, რადგან ყველამ იცის, რომ თვით ქალაქს არ მოეპოვება ამისთვის საჭირო თანხა. ამისთვის სჯობდა ერთი უქმე დღე ამოერჩიათ მოქალაქეთ და ვნახავდით, რომ ერთ დღეს ჭაობი მოისპობოდა.

ნიკო როსტომაშვილი.

# „ფრონტის დღის“ ანგარიში

(გაგრძელება) (იხილეთ „ერთობის“ №№ 181, 190, 195, 264, 281).

1) საზოგადოება „აღორძინება“ მუშა-მოსამსახურეებისაგან 1854 მ. 25 კ; 2) თიანეთის სახალხო გვარდიის შტაბმა—ნიკ. ნადირაძის ხელით 5183 მ.; 3) ახალციხის „ფრონტის დღის“ კომიტეტისაგან ივანე ხელაძის ხელით 1558 მ.; 4) სოსიკო მერკვილაძემ 500 მ.; 5) სარდიონ მამალაძისაგან 500 მ.; 6) ბათუმის ქართველთა ეროვნულ საბჭოსაგან: ა) პაპიროსები 20 პაჩკა; ბ) თუთუნი 2 ნახ. გირვანქა; გ) სპიჩკა 3 პაჩკა და 9 ცალი; დ) პაპიროსის ქაღალდები 3 პაჩკა და 25 ცალი.

მთავარი კომიტეტი.

(გაგრძელება იქნება)

## ანგარიში

გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტისა ქუთაისში, 1918 წელს.

შემოვიდა: შემოწირულება სხვადასხვა პირებიდან, რომელთა ვინაობა გაზეთებში იყო გამოცხადებული 25,747 მან. 64 კაპ; ყულაბებით შეგროვილი 4795 მ. 50 კ.; წარმოდგენები ცირკში და პროჟექტორში 12,168 მ. 40 კ.; შემოწირულება ფქვილის სახით 190 მ; სულ 42,901 მ. 54 კ.

დაიხარჯა: აღმოეჩინა დახმარება გურიიდან ლტოლვილთ ქუთაისში 8607 მ. 70 კ.; გაიგზავნა გურიაში ლტოლვილთათვის დასარიგებლათ 6000 მან.; შეძენილ იქმნა ფართლეულობა, რომელიც გადაეგზავნა ოზურგეთის ერობას 4755 მ. 60 კ.; ამავე ერობას გაეგზავნა ფულად 21,566 მ. 92 კ.; ლტოლვილ მოწაფეებს სწავლის ფულად მიეცათ 6000 მ.; წვრილი ხარჯები 108 მ; დარაჯს 80 მან.; ბაბინე კალანდაძისას 1010 მ.; ფქვილის შესაძენად ლტოლვილთათვის 173 მ. 32 კ. ბალანსი 42,901 მ. 54 კ.

კომიტეტის თავმჯ. ნ. მგელაძე.

კომიტეტის ხაზინადარი იგტ. ჩხატარაიშვილი.

# წერ. რედაქციის მიმართ*)

გაზეთ „ერთობის“ მე-281-ში (სამშაბათი, 9 დეკემბერი) მოთავსებულია „განის“ წერილი: „შენიშვნები სასამართლოში“. წერილი ეხება თფილისის საგანგებო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს მილევსკის მკვლელობის შესახებ.

იმ ადგილს წერილისას, სადაც ავტორი სინჯავს მოწმე ციციშვილის (სურამის კომისარი) ჩვენებას, შეუძლია რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს საზოგადოებაში პროკურორთა ზედამხედველობის მოქმედების შესახებ.

ამისათვის ვალად ვრაცხ ჩემს თავს მოგახსენოთ მოკლეთ საქმის გარემოება, რომელიც ეხება მოწმე ციციშვილის ჩვენებას. ახლად შეკრებილი ჯარის-კაცები სურამში, სადგურ ხაშურზედ ელოდებოდენ მატარებელს გორში წასასვლელად. სადგურზედ მასთან მივიდა ხაშურის მილიციელი დიმიტრი ყიფიანი და საიდუმლოთ უთხრა: დღეს სურამში ვიღაცა ექიმს უნდა დაეცნენო. ციციშვილმა დაინახა რა, რომ ყიფიანი აძლევს მას ცნობას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ბოროტგამზრახველების აღმოსაჩენათ და დასაჭერად, უთხრა ყიფიანს, როგორც მილიციელს და თავის აგენტს: „მოახერხე ისე, რომ ეგ დაცემა ავაზაკებმა გადასდონ, რადგანაც მე დღეს სურამში არ ვიქნები. მიზეზად გადადებისა დაუსახელე ის გარემოება, რომ დღეს სურამში ერთი გვარდიელის დაკრძალვაა და გვარდიელები იქნებიან და შეიძლება ხელი შეუშალონ.“ ყიფიანმა სიტყვა მისცა, ამ ცნობას გადავსცემო და მოშორდა ციციშვილს. გაიარ გამოიარა, მივიდა ხაშურის მილიციელთან, აწ დამნაშავეთ ცნობილთან, გოგობერიძესთან და დაუწყო მას ლაპარაკი. მერე ხელმეორედ მივიდა ციციშვილთან და უთხრა: „გადასდესო“. ციციშვილი მივიდა ტელეფონთან, გამოუძახა სურამის ქალაქის მმართველობის წევრს ჯობაძეს, შეატყობინა ყველაფერი და დაუმატა: „თუმცა ჩემის ცნობით, დღეს დაცემა არ მოხდება, მაგრამ მაინც ზომები მიიღეთ“. ამაში გამოიხატება ბ. ციციშვილის მოქმედება, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა ბ. განი.

პალატის პროკურორი ტატიშვილი, მდივანი ა. კანდელაკი.

*) პროკურორის თხოვნით იბეჭდება ასლი იმ მოხსენებისა, რომელიც მან წარუდგენია იუსტიციის მინისტრისათვის. რედ.

**რას უარყოფენ?**

ჩვენ წერილში ვწერდით: ციციშვილმა იცოდა, რომ თავდასხმა მოხდებოდა. ის გააფრთხილა ყიფიანმა. მან ყაჩაღებს თავდასხმის გადადებით მიმართა. ამას აცნობეს—„გადასდესო“. ამას ადასტურებს ბატონი პროკურორიც, მხოლოდ დასძენს: ციციშვილს ასე ბოროტ-მომქმედთა აღმოჩენა სურდაო. რამდენათ შესაწყნარებელია ეს—დეე მკითხველმა განსაჯოს...

განი.


# განცხადებანი

სადგურ სუფსაში შუაგულ ბაზარში საყდრის პირდაპირ
საჩქაროთ იყიდება
450 საჟენი მიწა ორ სართულიანი
ქვის შენობა
ორი თვალი მაღაზია და ოთხი ოთახი. მისამართი სუფსა, ვლასა კეჰაყმაძეს. (3401 2—1)

8 იანვარს იხსნება სალამოს ქართული განათლების პირველ დაწყებითი
კურსები
ორთავ სქესის სწავლა-განათლებას ჩამორჩენილ მუშათათვის. (ი. მ. მაჩაიძის გიმნაზიის კურსები, ჩერქეზიშვილის ქ. № 22) 9—1 საათ. საღამოს დამაარსებლის ბინაზე, მიხაილოვის პროსპ. № 25. კუთხე ალექსის ქუჩა. № 5. (3387 3—2)

გამოვიდა და იყიდება
თვიური
კედლის კალენდარი
1920 წ. ფასი 10 მანეთი.
საწყობი: ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3. (ნ. 3—3)

თვალის ექიმი
ზ. მ. სხვედაძე
ილებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.
ილებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი [illegible]
ილებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც ილებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ქალი ო. ს. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. ილებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ს. ბ. [illegible]
სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. [illegible] ნეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ. 3372)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა ილებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია-პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—82. 3230—თ.

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. [illegible] ილებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გრინიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. [illegible]
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ოზურგეთში ექიმი ს. მ. [illegible]
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 58)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
ილებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] აუდიტორიის ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საპკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით, „606“ და „914“ (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი [illegible]
ილებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“. მიღება დილით 9—11. საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ № 116. ტელ. 14—38

ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
უგზავნის აგენტებს: „ერთობას“, „Борьба“-ს, „საქ. რესპუბლიკა“-ს, „სახალხო საქმეს“, „ივერიას“, „Возрождение“-ს, „Слово“-ს, „ეშმაკის მათრახს“, „ცისარტყელას“, „მუშათა ცხოვრებას“, „თეატრს“ და ყველა ახლად გამოსულ წიგნებს, ქარტებს და სურათებს.
ფული და წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ოლღას ქ. № 6. სილ. თავართქილაძეს. (უფ. 3—1)